ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებების ფაკულტეტის საბჭოს 2020 წლის 7 სექტემბრის სხდომის

ოქმი #8

2020 წლის 7 სექტემბერს შედგა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ზუსტ და საბუნების-მეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის საბჭოს სხდომა. სხდომა ჩატარდა ონლაინ რეჟიმში, პროგრამა ZOOM-ის გამოყენებით.

სხდომა გახსნა ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის საბჭოს თავმჯდომარემ, ასოცირებულმა პროფესორმა რამაზ ხომერიკმა.

ფაკულტეტის საბჭოს შემადგენლობაშია 39 წევრი, სხდომას ესწრებოდა 24.

კვორუმი შედგა, სხდომა გახსნილად გამოცხადდა.

დღის წესრიგი:

1. მაგისტრატურის ანკეტა-კითხვარის შესახებ;
2. საგანმანათლებლო პროგრამებში ცვლილებების შესახებ;
3. მიმდინარე საკითხები.

1. **მოისმინეს:** დღის წესრიგის პირველი საკითხი – მაგისტრატურის ანკეტა-კითხვარში ცვლილების შესახებ. საკითხთან დაკავშირებით ისაუბრა ფაკულტეტის ხარსხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსმა, ასოცირებულმა პროფესორმა თ.ჭელიძემ. მან საბჭოს წევრებს გააცნო ფაკულტეტის სამაგისტრო პროგრამებზე ვაკანტური ადგილების და შემოსული განცხადებების რაოდენობა. გამოთქვა მოსაზრება გაიზარდოს ვაკანტური ადგილების რაოდენობა სამაგისტრო პროგრამებზე, რომლებზედაც შემოსული განცხადებები მეტია ვაკანტურ ადგილების რაოდენობაზე, იმ სამაგისტრო პროგრამების ვაკანტური ადგილების ხარჯზე, რომლებზეც შემოსული განცხადებების რაოდენობა ნაკლებია გამოყოფილ რაოდენობაზე (იხ. დანართები 1).

აზრი გამოთქვეს: პროფესორებმა ა.გამყრელიძემ, გ.ღვედაშვილმა, გ.სირბილაძემ, დ.ძიძიგურმა, მ.ხაჩიძემ, ნ.შათაშვილმა, ნ.დორეულმა.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა ცვლილებები მაგისტრატურის ანკეტა-კითხვარში (იხ.დანართი 1).

კენჭისყრის შედეგები: მომხრე - 24, წინააღმდეგი - 0, თავი შეიკავა - 0.

დაადგინეს: დამტკიცდეს მაგისტრატურის ანკეტა-კითხვარი წარმოდგენილი სახით (იხ. დანართი 1).

2. **მოისმინეს:** დღის წესრიგის მეორე საკითხი - საგანმანათლებლო პროგრამებში ცვლილებების შესახებ. საკითხის შესახებ ისაუბრა ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსმა, ასოცირებულმა პროფესორმა თამარ ჭელიძემ. მან საბჭოს წევრებს წარუდგინა ცვლილებები შემდეგ საგანმანათლებლო პროგრამებში (იხ. დანართი 2):
   1. საბაკალავრო პროგრამა ქიმია;

2. საბაკალავრო პროგრამა ქიმია (ინგლისურენოვანი);
3. საგაგისტრო პროგრამა "ფუნდამენტური ფიზიკა".

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭი უყარა წარმოდგენილ ცვლილებებს.

კენჭისყრის შედეგები: მომხრე - 24, წინააღმდეგი - 0, თავი შეიკავა - 0.

დაადგინეს: შევიდეს ცვლილებები შემდეგ საგანმანათლებლო პროგრამებში (იხ. დანართი 2):
1. საბაკალავრო პროგრამა ქიმია;
2. საბაკალავრო პროგრამა ქიმია (ინგლისურენოვანი);
3. საგაგისტრო პროგრამა "ფუნდამენტური ფიზიკა".

3. მოისმინეს: დღის წესრიგის მესამე - მიმდინარე საკითხები.

ა) ფაკულტეტის დეკანის მოადგილემ, ასოცირებულმა პროფესორმა ვაჟა ტრაპაიძემ საბჭოს წევრებს გააცნო „გამოყენებითი ეკოლოგიის“ სადოქტორო პროგრამის ხელმძღვანელის, პროფესორ ლ.მაჭავარიანის წერილი, სადაც იგი ითხოვს „გამოყენებითი ეკოლოგიის“ სადოქტორო პროგრამაზე მისაღები კანდიდატების გასაუბრების კომისიის შემადგენლობის დამტკიცებას ფაკულტეტის საბჭოზე (იხ. დანართი 3);

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭი უყარა აღნიშნულ საკითხს.

კენჭისყრის შედეგები: მიღებულია ერთხმად.

დაადგინეს: დამტკიცდეს „გამოყენებითი ეკოლოგიის“ სადოქტორო პროგრამაზე მისაღები კანდიდატების გასაუბრების კომისია შემდეგი შემადგენლობით:

1. პროფ. ლია მაჭავარიანი - თავმჯდომარე
2. პროფ. არნოლდ გეგეჭკორი
3. პროფ. რამაზ გახოკიძე
4. ასოც. პროფ. ვაჟა ტრაპაიძე
5. ასოც. პროფ. გურამ ქუთელია
6. ემერიტუს პროფ. სიმონ წერეთელი
7. ასოც. პროფ. ლამზირა ლაღიძე - მდივანი.

ბ) ფაკულტეტის დეკანმა, ბატონმა რ.ხომერიკმა ისაუბრა 2020 წლის შემოდგომის სემესტრში სასწავლო პროგრამით გათვალისწინებული მეცადინეობების ჩატარების რეჟიმზე და აღნიშნა, რომ დიდი ლექციები ძირითადად ონლაინ ჩატარდება. გარდა ამისა, კარგი იქნება თუ შესაძლებლობის ფარგლებში ინტენსიურ რეჟიმში მოხდება ლაბორატორიული მეცადინეობების ჩატარება, სანამ ამის შესაძლებლობას ეპიდემიოლოგიური სიტუაცია იძლევა. პროფესორებმა დ.ძიძიგურმა და ნ.დორეულმა აღნიშნეს, რომ ლაბორატორიული მეცადინეობები ძირითადად სალექციო მასალის შესაბამისად არის დაგეგმილი, თუმცა შეეცდებიან შეიტანონ ცვლილებები აღნიშნული მდგომაარეობის გათვალისწინებით. აზრი გამოთქვეს პროფესორებმა მ.ხაჩიძემ, ნ.დორეულმა, რ.ხომერიკმა, ნ.შათშვილმა, ზ.სეფერთელაძემ, გ.სირბილაძემ.

გ) პროფესორმა ნ.ელიზბარაშვილმა აღნიშნა, ვერ ხდება სახელმწიფოს მიერ დაფინანსებული ადგილების ბოლომდე შევსება. კარგი იქნება, თუ თსუ ადმინისტრაციის წინაშე დავაყენებთ საკითხს, რომ უფასო პროგრამების განსახორციელებლად

უნივერსიტეტისთვის გადმორიცხული თანხიდან აუთვისებელი ნაწილი მოხმარდეს სხვა მიმართულებებსაც.

დ) ფაკულტეტის საბჭოს წევრი სტუდენტი გვანცა ჩადუნელი დაინტერესდა შემოდგომის სემესტრის ჩატარების ფორმატით, ხოლო მარიამ ლილაურმა დეკანს მიმართა შეკითხვით, თუ სად ჩაუტარდებათ გეოგრაფიის მიმართულების სტუდენტებს ლექციები, იმის გათვალისწინებით, რომ თსუ მეორე კორპუსში რემონტია. ამაზე დეკანმა უპასუხა, რომ ლექციები ჩატარდება მეორე კორპუსის იმ აუდიტორიებში, სადაც ეს შესაძლებელია და სხვა კორპუსში გადასვლა არ იგეგმება აუდიტორიების რაოდენობის სიმცირის გამო.

ე) პროფესორებმა ნ.ელიზბარაშვილმა და თ.ლეჟავამ ისაუბრეს სასწავლო ლაბორატორიებში დასაქმებულ თანამშრომლებზე. ბატონმა ნოდარმა წამოაყენა წინადადება, რომ კარგი იქნება, თუ ზოგიერთი ლაბორანტის ფუნქცია შეიცვლება და მათ კათედრაზე ასისტენტობა დაევალებათ. ბატონმა თეიმურაზმა კი აღნიშნა, რომ მიზანშეწონილია, თუ იმ ლაბორანტებს, რომლებიც სამეცნიერო მუშაობას ეწევიან, კარიერული განვითარების საშუალება მივცემთ. ფაკულტეტის დეკანმა, ბატონმა რ.ხომერიკმა აღნიშნა, რომ ეს ყველაფერი დაკავშირებულია ახალი საშტატო ერთეულების წარმოშობასთან და ამ ეტაპზე ეს შეუძლებლად მიაჩნია. აზრი გამოთქვა პროფესორმა ლ.მაჭავარიანმა.

ფაკულტეტის საბჭოს თავმჯდომარე,
ასოცირებული პროფესორი რამაზ ხომერიკი

ფაკულტეტის საბჭოს მდივანი,
ასისტენტ პროფესორი თინათინ დავითაშვილი